საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2020 წლის 09 სექტემბერი**

დისციპლინური საქმე №159/18-6
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2018 წლის 11 ივნისის №-- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75[6] მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 19 ოქტომბრის №159/18 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარედგინა 2020 წლის 09 სექტემბრის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტზე:

საჩივრის ავტორი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოსამართლე -- -- გააჭიანურა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ განჩინების მიღება.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2016 წლის 28 ნოემბერს -- -- სარჩელით მიმართა -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე - სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიმართ და მოითხოვა -- -- სასამართლოს 2007 წლის 31 მაისის გადაწყვეტილების აღსრულება, აღსრულების ეროვნული ბიუროს ტერიტორიული ორგანოს -- -- სააღსრულებო ბიუროს №-- სააღსრულებო საქმეზე აღმასრულებლის, -- -- მიერ 2013 წლის 6 სექტემბრის განხორციელებული ქმედების, სააღსრულებო წარმოების დამთავრების ბათილად ცნობა, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს №-- ბრძანების ბათილად ცნობა, სააღსრულებო წარმოების განახლება.

-- -- სასამართლოს 2016 წლის 02 დეკემბრის განჩინებით (მოსამართლე -- --) -- -- სარჩელზე დაუდგინდა ხარვეზი და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის I ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დაევალა სახელმწიფო ბაჟის გადახდა 100 ლარის ოდენობით.

აღნიშნული განჩინება მოსარჩელე მხარეს ჩაბარდა 2017 წლის 9 იანვარს.

ხარვეზის შევსების მიზნით მოსარჩელემ დაზუსტებული სარჩელით -- -- სასამართლოს მიმართა 2017 წლის 16 იანვარს. დაზუსტებულ სარჩელს თან ერთვოდა სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი. მოსარჩელე -- -- დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნები. კერძოდ,

განმარტა, რომ ითხოვდა: -- -- სასამართლოს 2007 წლის 31 მაისის გადაწყვეტილების აღსრულებას, აღსრულების ეროვნული ბიუროს ტერიტორიული ორგანოს -- -- სააღსრულებო ბიუროს №-- სააღსრულებო საქმეზე აღმასრულებლის, -- -- მიერ 2013 წლის 6 სექტემბრის განხორციელებული ქმედების, სააღსრულებო წარმოების დამთავრების ბათილად ცნობას, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს №-- ბრძანების ბათილად ცნობას, -- -- სასამართლოს 2007 წლის 31 მაისის გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით სააღსრულებო წარმოების განახლებას.

-- -- სასამართლოს 2017 წლის 20 იანვრის განჩინებით (მოსამართლე -- --) -- -- სარჩელზე დაუდგინდა ხარვეზი და დაევალა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-25-ე მუხლების გათვალისწინებით სარჩელის მოთხოვნების დაზუსტება.

ხარვეზის შევსების მიზნით მოსარჩელემ დაზუსტებული სარჩელით მიმართა -- -- სასამართლოს 2017 წლის 14 თებერვალს.

-- -- სასამართლოს 2017 წლის 17 თებერვლის განჩინებით (მოსამართლე -- --) -- -- სარჩელზე დაუდგინდა ხარვეზი და დაევალა მოთხოვნების კონკრეტულად და ამომწურავად მითითება.

2017 წლის 13 ივნისს -- -- დაზუსტებული სარჩელით მიმართა -- -- სასამართლოს, თუმცა მოსარჩელის მიერ -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებით დადგენილი ხარვეზი არ იქნა აღმოფხვრილი.

-- -- სასამართლოს 2017 წლის 16 ივნისის განჩინებით (მოსამართლე -- --) -- -- სარჩელის წარმოებაში მიღებაზე ეთქვა უარი და სარჩელი, თანდართულ მასალებთან ერთად, დაუბრუნდა უკან.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა -- -- 2017 წლის 31 ივლისს.

-- სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 22 ნოემბრის განჩინებით (მოსამართლე -- --) -- -- კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 16 ივნისის განჩინება.

აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა -- -- 2017 წლის 07 თებერვალს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 23 თებერვლის განჩინებით (მოსამართლეები - -- -- , -- --, -- --) -- -- კერძო საჩივარი დატოვებულ იქნა განუხილველად.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნა:

-- -- 2018 წლის 11 ივნისის №-- საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით (მოსამართლის მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება) განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს (2020 წლის 01 იანვრამდე მოქმედი რედაქცია).

4. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „დისციპლინური გადაცდომა არის მხოლოდ ამ კანონით გათვალისწინებული, მოსამართლის მიერ ჩადენილი განზრახი ან გაუფრთხილებლობითი ქმედება.“ დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც დისციპლინური

გადაცდომის სახეების ჩამონათვალში, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება „მოსამართლის მიერ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა.“

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ვადის დარღვევის მიზეზი არასაპატიოდ არ ჩაითვლება, თუ მოსამართლემ აღნიშნული ვადის დაცვა ობიექტურ გარემოებათა (საქმის სიმრავლე, საქმის სირთულე და სხვა) გამო ვერ შეძლო. არსებითად დარღვევად უნდა ჩაითვალოს მოსამართლის ისეთი ქმედება, რომელმაც ზიანი მიაყენა მხარეს, სასამართლოს ან საჯარო ინტერესს.

იმისათვის, რომ სრულყოფილად შეფასდეს საჩივრის საფუძველზე გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებები შეიცავენ თუ არა მოსამართლის მიერ შესაბამისი პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, აუცილებელია განისაზღვროს რას წარმოადგენს - საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითი დარღვევა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, ვადებს მნიშვნელოვანი წესრიგი შეაქვს სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობის პროცესში, რადგანაც ვადა მნიშვნელოვან საჯარო ინტერესებს ემსახურება, როგორებიცაა: ეფექტური, ობიექტური და სამართლიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფა; სამართლებრივი უსაფრთხოების, განსაზღვრულობის, სამოქალაქო ურთიერთობებში წესრიგის და სტაბილურობის დამყარება.[1]

სამართალწარმოების ხანგრძლივობის გონივრულობის განსაზღვრა საქმის გარემოებების გათვალისწინებით ხდება, რაც მთლიანი წარმოების შეფასებას გულისხმობს (Boddaert v. Belgium, §36). მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა წარმოების გარკვეული ეტაპები მისაღები ტემპით მიმდინარეობდა, წარმოების მთლიანმა ხანგრძლივობამ შეიძლება მაინც გადააჭარბოს „გონივრულ ვადას“ (Dobbertin v. France, §44).

საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურების შესაძლო ჩადენაზე მსჯელობისას აუცილებელია ყურადღება მიექცეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს (რომელიც მოიცავს სამართლიანი სასამართლოს მიერ საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლებას) და იმ კრიტერიუმებს, რასაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მე-6 მუხლის დარღვევის დადგენის დროს (საქმის განხილვის გონივრული ვადის დარღვევის გამო) იყენებს.

შესაბამისად, საქმის განხილვის ვადების გონივრულობა უნდა შეფასდეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო პრაქტიკით დადგენილი შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

1) საქმის სირთულე, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს, როგორც საქმის ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ სირთულესთან (Katte Klitsche de la Grande v. Italy, §55; Papachelas v. Greece, §39); რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს რამდენიმე მხარის საქმეში ჩაბმასთან (H. V. United Kingdom, §72); მტკიცებულებების გამოკვლევასთან (Human v. Poland, §63) და ა.შ. ამასთან, იმ შემთხვევაშიც როდესაც საქმე თავისი არსით სირთულით არ ხასიათდება, თუმცა ეროვნული კანონმდებლობა არ არის ნათელი ამ გარემოებამაც შეიძლება საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება გამოიწვიოს (Lupeni Greeck Catholic Parish and others v. Romania, §150);
2) მხარეთა მოქმედებები, რაც გულისხმობს მაგალითად, ადვოკატთა ხშირ ცვლილებას (Koenig v. Germany, §103), შუამდგომლობებს, რომელიც გამიზნულია პროცესის გასაჭიანურებლად, ან

[1] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №3/1/531, 2013 წლის 05 ნოემბერი, II 17-19

უბრალოდ დაკავშირებულია გარკვეულ ვადებთან (Acquaviva v. France, §61), ასევე სხვა მოქმედებები, რომელიც უკავშირდება საქმის განხილვის ვადის გაგრძელებას;

3) საქმის განმხილველი მოსამართლის მოქმედებები, ყურადღება უნდა მიექცეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოსამართლის მიერ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობას/ჩაუტარებლობას (Pafitis and others v. Greece, §93; Tiece v. San Marino, §31; Suermeli v. Germany, §129).

აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, საქმის განხილვის ვადა იყო გონივრული თუ არა უნდა შეფასდეს ყოველ საქმეზე ინდივიდუალურად, საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით (Frydlender v. France, §43) და ერთიანობაში ყველა საპროცესო მოქმედების მხედველობაში მიღების შედეგად (Koenig v. Germany; §98).

მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების კომენტარების თანახმად, საქმეების ეფექტიანად, სამართლიანად და საკმარისად სწრაფად განხილვისას მოსამართლემ უნდა გამოიჩინოს სათანადო ყურადღება იმ მხარეთა უფლებების მიმართ, რომლებიც მის წინაშე გამოდიან და უზრუნველყოს სადავო საკითხების გადაწყვეტა ზედმეტი დანახარჯებისა და სამართალწარმოების გაუმართლებელი გაჭიანურების გარეშე.[2]

ამდენად, მხარეთა უფლება მათი სარჩელის მტკიცებულებათა შეფასების შედეგად გონივრულ ვადაში განხილვის შესახებ, მოსამართლის უპირველესი ვალდებულებაა. მოსამართლე საქმის წარმოების დასაწყისიდანვე უნდა აკონტროლებდეს სამართალწარმოების ვადებს და მის ხანგრძლივობას, მკაფიოდ უნდა განსაზღვრავდეს პროცესუალური მოქმედებების თარიღებს. საპროცესო ვადის დარღვევამ არ უნდა შეუქმნას საფრთხე მართლმსაჯულების განხორციელებას.

საჩივრის ავტორი უთითებს სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ განჩინების მიღების ვადის გაჭიანურებაზე. აღნიშნულთან მიმართებით მნიშვნელოვანია, რომ უფლების სასამართლო წესით დაცვა უზრუნველყოფილია ყოველი ადამიანისათვის. სარჩელის აღძვრის შესაძლებლობა სუბიექტური უფლების განხორციელების საშუალებაა, რომელიც იცავს უფლებას გაქარწყლებისგან. პირის მიერ სასამართლოსადმი მიმართვის უფლება რა თქმა უნდა უპირობოდ არ გულისხმობს დარღვეული ან სადაოდ ქცეული უფლების დაცვას. ნებისმიერი სარჩელი, რომლითაც პირი მიმართავს სასამართლოს უნდა აკმაყოფილებდეს ფორმალური და მატერიალური დასაშვებობის წინაპირობებს. სარჩელში ნათლად, გარკვევით და ამომწურავად უნდა იყოს მითითებული თუ რას მოითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან. რა ფორმის სარჩელი უნდა იქნას აღძრული, დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მიზნის მიღწევა სურს მოსარჩელეს. იგი თავად განსაზღვრავს სარჩელის შინაარსსა და მოცულობას, სასამართლო კი შეზღუდულია მოცემული სარჩელით და საქმეს იხილავს ამ სარჩელის ფარგლებში. შესაბამისად, სარჩელზე ხარვეზის დადგენა მიზნად ისახავს მხოლოდ სასარჩელო მოთხოვნის ნათლად ჩამოყალიბებას და იმის დადგენას რა მიზნის მიღწევას ემსახურება სარჩელი.

აქვე, აღსანიშნავია, რომ სარჩელი სასამართლოში შევიდა 2016 წლის 28 ნოემბერს, ხოლო 2017 წლის 16 ივნისის განჩინებით უარი ეთქვა მხარეს სარჩელის წარმოებაში მიღებაზე. ამასთან, ხარვეზი დადგენილი იქნა 3 ჯერ. საბოლოო განჩინების მიღებამდე საქმე სასამართლოში იმყოფებოდა 6 თვე და 18 დღე. თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ მოსამართლე უფლებამოსილი იყო სარჩელზე რამდენჯერმე დაედგინა ხარვეზი, რათა დაზუსტებულიყო ის ფარგლები, რა ფარგლებშიც მოსარჩელეს სურდა დავა. ამდენად, მოსამართლეთა მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი არ დასტურდება.

ამდენად, სტატისტიკური მონაცემების, მოსამართლის დატვირთულებისა და მხარეთა მოქმედებების გათვალისწინებით, მოსამართლის მხრიდან „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი არ დასტურდება.

[2] მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრიციპები და კომენტარები, თბილისი 2015, გვ. 192, §207

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მოსამართლის მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება. შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 2020 წლის 09 სექტემბრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 11 წევრთაგან 11 ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობა), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75^{12} მუხლის მეორე პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №159/18 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი